ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 18

24 მარტი, 2023 წელი

16:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის ინჟინრის **ბარბარე ბაირამაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდა წყლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეზღვაურის **იულია ფაილოძის** სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული I შესახვევისთვის კალიგრაფ გადამწერის **მანანა ზედგინიძის** სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმის **ბარბარე ყიფიანის** სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისის ველის დასახლებაში მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის მსახიობების **თამარ ჭავჭავაძის** და **ცეცილია წუწუნავას** სახელების მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩების მონაკვეთისთვის მფრინავის **ნინა ხუბულავას** სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქუჩის მონაკვეთისთვის მფრინავის **რუსუდან ჟორდანიას** სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოესის ქუჩისთვის დიპლომატის **რუსუდან მიქელაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ცუცხვათის ქუჩისთვის პოეტის **მარიამ აბრამიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძევერას ქუჩისთვის მშვილდოსნის **ქეთევან ლოსაბერიძის** სახელის მინიჭების შესახებ.

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ქუჩებისთვის გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ქალების მინიჭების ინიციატივას განიხილავს. ქალაქის ურბანულ გარემოში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარების მიზნით განიხილება თბილისში ათი ქუჩისთვის იმ ქალ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების საკითხი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სხვადასხვა სფეროს განვითარებაში და რომელთა ღვაწლიც გარკვეულწილად მივიწყებულია ფართო საზოგადოებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა

კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის პირველი ინჟინერი ქალის ბარბარე ბაირამაშვილის ქუჩის სახელის მინიჭებას. იგი იყო საქართველოს დამსახურებული ინჟინერი. მონაწილეობას იღებდა ზაჰესის და რიონჰესის მშენებლობებში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს რიგი ქალაქების ელექტროქსელის დაპროექტების საქმეში. კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაციია მისცეს.

მეორე საკითხი შეეხება ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდა წყლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეზღვაურის, იულია ფაილოძის ქუჩის სახელის მინიჭებას. იულია ფაილოძე იყო შორეული ნაოსნობის პირველი ქართველი მეზღვაური ქალი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს, რომელსაც კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მესამე საკითხის განხილვისას ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული I შესახვევისთვის კალიგრაფ გადამწერის მანანა ზედგინიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ. მანანა ზედგინიძე იყო ერეკლე II-ის თანამედროვე, სოფელ ძევერის მკვიდრი. მის პოეტურ შემოქმედებასთან ერთად მნიშვნელოვანია მის მიერ გადაწერილი "ვეფხისტყაოსანი", რომელიც გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. მანანა ზედგინიძეს „ვეფხისტყაოსანი“ ორჯერ გადაუწერია _ 1788 წელს, ვიდრე მონაზვნად აღიკვეცებოდა, რადგან ხელნაწერის ანდერძში თავისი ქალიშვილობის სახელით ვეცნობით და 1839 წელს ზედგინიძე ფებრონიას (იგივე მანანას) სახელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

მეოთხე საკითხი შეეხება ვაკის რაიონში ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმის, ბარბარე ყიფიანის სახელის მინიჭებას. ბარბარე ყიფიანი იყო ექიმი, მეცნიერი, პედაგოგი, მრავალი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი და საფრანგეთის სამედიცინო აკადემიის წევრი, ევროპაში მოღვაწე პირველი ქართველი ფსიქო-ფიზიოლოგი, ბავშვთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხებზე მინიჭებული აქვს ოქროს მედლის პრემიები. კომისიამ აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

ასევე დადებითად გადაწყვიტა კომისიამ მთაწმინდის რაიონში, წავკისის ველის დასახლებაში მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის მსახიობების თამარ ჭავჭავაძისა და ცეცილია წუწუნავას სახელების მინიჭების საკითხი. კომისიას მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ დედაქალაქში არსებობდეს დამსახურებული მსახიობების სახელობის ქუჩები.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეექვსე და მეშვიდე საკითხები, რომლებიც შეეხება სამგორის რაიონში ბესარიონ ქებურიას დასახლების პირველი და მესამე ქუჩების მონაკვეთებისთვის მფრინავი ქალების, ნინა ხუბულავას და რუსუდან ჟორდანიას სახელების მინიჭებას. ნინა ხუბულავამ დაამთავრა თბილისის აეროკლუბთან შექმნილი საფრენოსნო სკოლა. 1934 წელს განახორციელა პირველი გაფრენა. 1935 წლის 12 ოქტომბერს, მუშა მფრინავების პირველი საზეიმო გამოშვებაზე ნინამ უმაღლესი ოსტატობით და სიზუსტით შეასრულა პილოტაჟის ინსტრუქციები. გარდაიცვალა 1935 წლის 27 მაისს, 17 წლის ასაკში. რაც შეეხება რუსუდან ჟორდანიას, ავიაციაში მოღვაწეობდა 24 წელი, 4 ახალი ტიპის თვითმფრინავი აითვისა და ჰაერში 5500 საათი გაატარა. აქტიური ფრენების დასრულების შემდეგ მუშაობდა თბილისის აეროპორტში თვითმფრინავთა დაშვების ხელმძღვანელად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში. არჩეული იყო საავიაციო სასპორტო კლუბის თავმჯდომარედ. კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია აღნიშნულ საკითხებს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მერვე, მეცხრე და მეათე საკითხები შეეხება ისნის რაიონში დოესის, ცუცხვათის და ძევერას ქუჩებისთვის პირველი დიპლომატი ქალის რუსუდან მიქელაძის, პოეტის მარიამ აბრამიშვილის და მშვილდოსნის ქეთევან ლოსაბერიძის სახელების მონიჭებას.

რუსუდან მიქელაძე იყო პირველი ქართველი დიპლომატი ქალი, რომელიც მონაწილეობდა თურქეთში, კერძოდ ტრაპიზონში 1918 წლის თებერვალში ამიერკავკასიის სეიმსა და ოსმალეთის ხელისუფლებას შორის გამართულ მოლაპარაკებებში.

მარიამ აბრამიშვილი იყო რეპრესირებული პოეტი, ერთადერთია რეპრესირებულ პოეტთა შორის, რომელიც რეაბილიტირებული იყო. მან „ვიატლაგში“, სტალინურ

ბანაკში, 6 წელი გაატარა. დაჯილდოებული იყო ლიტერატურული და სახელმწიფო პრემიებით. იყო ღირსების ორდენის კავალერი.

ქეთევან ლოსაბერიძე იყო პირველი და ერთადერთი ევროპელი ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსანი ქალი. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული. კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად გადაწყვიტეს აღნიშნული ცვლილებები.

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინიციატივებად დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე, რეგისტრაციიდან არაუადრეს 20 დღისა გაიმართება საჯარო განხილვა და ამის შემდგომ მოხდება საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე